ლიხნის ეკლესია

ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია — არქიტექტურული ძეგლი, გუმბათიანი ტაძარი, მდებარეობს საქართველოში, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სოფელ ლიხნში. 2006 წლის საქართველოს პრეზიდენტის ბრანებულობის თანახმად, მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

ლიხნის ტაძარი X საუკუნის ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, მისი ხუროთმოძღვრება და ფერწერა უნიკალურია. ლიხნის ტაძარში შემორჩენილია როგორც X-XI საუკუნეების, ასევე XIV საუკუნის მოხატულობის კვალი. ისინი გამოირჩევა ფაქიზი კოლორიტით, ფიგურების დინამიურობითა და ექსპრესიულობით.

ლიხნის ტაძრის სიძველეები პირველად აღწერა ცნობილმა ფრანგმა ქართველოლგმა მარი ბროსემ, რომელმაც ტაძრის კედლებიდან გადმოიწერა რამდენიმე ქართული წარწერა. ამ წარწერებში ასახულია ინფორმაცია ქართველთა მეფის ბაგრატ მეოთხის გამეფების შსახებ.

რუსეთ -საქართველოს 2008 წლის ომამდე, ლიხნის ტაძარში დაცული იყო ჩვიდმეტზე მეტი ქართული ფრესკული წარწერა, ასევე, ბიბლიური სიუჟეტები, წმინდანთა გამოსახულებები ქართულ-ბერძნული განმარტებითი წარწერებით, მათში მოიხსენიებდნენ გაერთიანებული საქართველოს მეფეებს: ბაგრატ IV-ს, გიორგი II-ს და სასულიერო პირებს.

ვინაიდან ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ტაძრის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების განხორციელება შეუძლებელია. მართალია აფხაზეთში საუბრობენ იმაზე, რომ ტაძრის სახურავი პირვანდელი სახით არის მოღწეული, და თითქოს, ტაძრის მხატვრობაც არაა დაზიანებული, მაგრამ არსებობს სხვა ინფორმაციაც, რომ ნაგებობა და ეკლესიის მოხატულობა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. 2010 წელს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ დაიწყო საკონსერვაციო სამუშაოები, ძეგლზე გარედან დაამონტაჟეს დროებითი გადახურვა. სამუშაოები მიმდინარეობდა პროფესიონალი რესტავრატორების გარეშე, რის გამოც არსებობს ძეგლის ავთენტურობისა და მასზე შემორჩენილი ისტორიული კვალის წაშლის საფრთხე.

UNESCO (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) არ განიხილავს არაღიარებული ქვეყნების ტერიტორიებზე არსებულ ობიექტებს. ამის მიზეზი სავსებით გასაგებია ყველასთვის, მაგრამ შესაძლებელია არსებული კონფლიქტის გამო კიდევ უფრო დაზიანდეს უძველესი ქართული ძეგლი და მან დაკარგოს თავისი უნიკალურობა და მნიშვნელობა.

ვფიქრობთ, უნდა გამოიძებნოს გზა და საშუალება, რომელიც გადაარჩენს ამ ძეგლს და მას მომავალ თაობებს შეუნარჩუნებს.

ჩვენ კი, ახალგაზრდებს, ჯერჯერობით მეტი არაფერი შეგვიძლია, გარდა იმისა, რომ ლიხნის ეკლესიის, ასევე, მსგავს ბედში მყოფი ტაძრების და მათი პრობლემის შესახებ ინფორმაცია უფრო მეტ ადამიანს და ორგანიზაციას გავაგებინოთ.

სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის

სოფელ გეტას საჯარო სკოლა

XI კლასის მოსწავლე თამერლან მამედოვი